



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
 ივანე ჯავახიშვილის სახელობის
 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW -
 IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY



№497/01-01-03-07

24.03.2016

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს

ქალბატონ თამარ სანიკიძეს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსს,

ბატონ ალექსანდრე ონოფრიშვილს

ქალბატონო თამარ,

ბატონო ალექსანდრე,

როგორც ცნობილია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 14 მარტის N227 ბრძანების საფუძველზე, ჩატარდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ტექსტში შემდგომ - „უნივერსიტეტი“ ან „თსუ“) ინსპექტირება საკითხზე - „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კანცლერის კანდიდატურის წარდგენის პროცესთან დაკავშირებული შესაძლო დარღვევის ფაქტი“.

ზემოხსენებულთან და სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით, გაცნობებთ უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ განიხილა მოცემული საკითხი, რის საფუძველზეც გაწვდით ჩვენს პოზიციას ქვემოთმოცემული დასკვნის სახით:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 14 მარტის N227 ბრძანების თანახმად, უნივერსიტეტის ინსპექტირება უნდა განხორციელებულიყო სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2016 წლის 14 მარტიდან, 2016 წლის 22 მარტის ჩათვლით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (ტექსტში შემდგომ - „სამინისტრო“) შიდა აუდიტის დეპარტამენტის 2016 წლის 16 მარტის No MES 7 16 00261589 კორესპონდენციის თანახმად, უნივერსიტეტს ინსპექტირების განმახორციელებლისათვის

1379

სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტისთვის უნდა მიეწოდებინა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, უნივერსიტეტის წერილობითი პოზიცია და განხორციელებული ქმედებების სამართლებრივი დასაბუთება.

2016 წლის 15 და 16 მარტს უნივერსიტეტის მიერ, მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, სამინისტროს მიეწოდა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებული, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული და გამოცემული სხდომის ოქმები, დადგენილებები და სხვა აუცილებელი დოკუმენტაცია, ამავე წარდგენილ დოკუმენტაციაში დაფიქსირებული აკადემიური საბჭოს მიერ „განხორციელებული ქმედებების სამართლებრივი დასაბუთება“. რაც შეეხება უნივერსიტეტის წერილობით პოზიციას, უნივერსიტეტში იმ პერიოდში საყოველთაოდ (საჯაროდ) ცნობილი ფაქტობრივი გარემოებების (მდგომარეობის) გამო, იგი მოწოდებული ვერ იქნა, ამასთან, არც სამინისტროს მხრიდან მომხდარა შესაბამისი წერილობითი პოზიციის მიღების უზრუნველყოფისათვის კომუნიკაცია, რაც ხაზგასასმელი და მნიშვნელოვანი გარემოებაა.

2016 წლის 17 მარტს უნივერსიტეტში სარეგისტრაციო ნომრით - 11 099/02 შემოვიდა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის 2016 წლის 16 მარტის No MES 7 16 00261589 კორესპონდენცია და მასზე თანდართული სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის No1603161525 2016 წლის 16 მარტის დასკვნა (სულ 10 ფურცლად).

სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის No MES 7 16 00261589 კორესპონდენციაში მითითებულია (სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნის ციტირება წინამდებარე დასკვნის შინაარსში მოცემულია დამკვიდრებული წესის თანახმად - ბრჭყალებში. ამასთან, ხსენებული ციტირების ტექსტი, უკეთესი აღქმის მიზნით, დახრილია):

„ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევის საფუძველზე გეძლევათ მითითება ბათილად ცნოთ:

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 17 თებერვლის N5 სხდომის ოქმში დაფიქსირებული გადაწყვეტილება, არსებულ კანდიდატებს შორის ხელახალი კენჭისყრის პროცედურის ჩატარებისა და კანცლერის შერჩეული კანდიდატის სენატისადმი წარდგენის ბოლო ვადად 2016 წლის 23 თებერვლის განსაზღვრის შესახებ;

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება (N20/2016 17/02.2016) „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის

შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების, პრეტენდენტთა რეგისტრაციის დაწყებისა და მათი შერჩევის კრიტერიუმების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცების თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 26 ოქტომბრის №109/2015 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 თებერვლის N6 სხდომის ოქმში დაფიქსირებული აკადემიური საბჭოს მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე წარსადგენად გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურის შერჩევის გადაწყვეტილება;

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება (N21/2016 19/02.2016) „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის შესახებ“;

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წარდგინება (N2/03-01-14 22/02/2016) უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოსათვის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დასამტკიცებლად გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურის წარდგენის შესახებ.

ასევე გეძლევათ მითითება, გაითვალისწინოთ დასკვნაში მითითებული დარღვევა შემდგომ საქმიანობაში და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ანგარიში წარმოადგინოთ შიდა აუდიტის დეპარტამენტში ერთი თვის ვადაში.“

სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხსენებული კორესპონდენციის (წერილობითი მითითების) საფუძველია ამავე დეპარტამენტის მიერ შედგენილი №1603161525 დასკვნა (8 ფურცლად).

სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის №1603161525 დასკვნა პირობითად შედგება ინსპექტირების ფარგლებში შესწავლილი საკითხის აღწერილობითი ნაწილისაგან, შესწავლილი საკითხის შეფასებითი ნაწილისა და დასკვნითი ნაწილისაგან.

სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის №1603161525 დასკვნის აღწერილობით ნაწილში გადმოცემულია (აღწერილია) ინსპექტირების საფუძველზე შესასწავლ საკითხთან დაკავშირებული, მომხდარი ფაქტები და ინფორმაცია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ შექმნილი, გამოცემული აქტების შესახებ.

სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის №1603161525 დასკვნის შეფასებით ნაწილში გადმოცემულია ინსპექტირების საფუძველზე შესასწავლი

საკითხის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული სამართლებრივი შეფასება.

სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის №1603161525 დასკვნის დასკვნით ნაწილში გადმოცემულია ინსპექტირების საფუძველზე შესასწავლი საკითხის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ უნივერსიტეტზე გაცემული დავალება. კერძოდ, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის №1603161525 დასკვნის ხსენებულ ნაწილში აღნიშნულია:

„დაევალოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ბათილად ცნოს:

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 17 თებერვლის N5 სხდომის ოქმში დაფიქსირებული გადაწყვეტილება, არსებულ კანდიდატებს შორის ხელახალი კენჭისყრის პროცედურის ჩატარებისა და კანცლერის შერჩეული კანდიდატის სენატისადმი წარდგენის ბოლო ვადად 2016 წლის 23 თებერვლის განსაზღვრის შესახებ;

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება (N20/2016 17/02.2016) „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების, პრეტენდენტთა რეგისტრაციის დაწყებისა და მათი შერჩევის კრიტერიუმების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცების თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 26 ოქტომბრის №109/2015 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 თებერვლის N6 სხდომის ოქმში დაფიქსირებული აკადემიური საბჭოს მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე წარსადგენად გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურის შერჩევის გადაწყვეტილება;

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება (N21/2016 19/02.2016) „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის შესახებ“;

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წარდგინება (N2/03-01-14 22/02/2016) უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოსათვის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დასამტკიცებლად გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურის წარდგენის შესახებ.

მიეცეს მითითება, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტს, გაითვალისწინოს დასკვნაში მითითებული დარღვევა შემდგომ საქმიანობაში და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ანგარიში წარმოადგინოს შიდა აუდიტის დეპარტამენტში ერთი თვის ვადაში.“.

გაცნობებთ, რომ არ ვეთანხმებით სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის №1603161525 დასკვნის შეფასებით ნაწილში სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ ინსპექტირების საფუძველზე შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით განხორციელებული შინაარსობრივი შეფასებების ნაწილს და ამავე დასკვნის დასკვნით ნაწილში სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ უნივერსიტეტზე გაცემულ დავალებებს (რომლებიც ასევე მოცემულია სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის № MES 7 16 00261589 კორესპონდენციაში, ოღონდ მითითებების სახით) შემდეგ გარემოებათა გამო:

I. სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის №1603161525 დასკვნის შეფასებით ნაწილში, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ, ინსპექტირების საფუძველზე შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით, გაკეთებულია შეფასებები:

„აკადემიური საბჭოს მიერ იოსებ არჩვამის კანდიდატურის წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარდგენით აღნიშნული კონკურსის ფარგლებში აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის შერჩევისა და წარდგენის კუთხით ამოიწურა, ყველა სამართლებრივი ქმედება დასრულდა. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს აკადემიური საბჭოს შესაძლებლობას, ერთი და იგივე კონკურსის ფარგლებში წარადგინოს ორი სხვადასხვა კანდიდატურა, მით უფრო რომ კონკურსი უკვე დამთავრებული იყო და კანდიდატი გამოვლენილი.

კანონმდებლობის ნორმებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ კონკურსის საფუძველზე შერჩეული კანდიდატურის წარდგენის გზით. ვინაიდან ჩატარებული კონკურსის ფარგლებში უკვე გამოვლენილი იყო იოსებ არჩვამის კანდიდატურა, კონკურსი დასრულებულად ითვლებოდა.

გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურას კენჭი ეყარა და იგი წარდგენილი იქნა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ახალი კონკურსის (დოკუმენტური მონაცემების შეფასება; პრეტენდენტებთან გასაუბრება) გარეშე, რითაც დაირღვა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნა¹ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის

11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნა.“

აღნიშნულ მსჯელობამდე სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტი თავის დასკვნას აფუძნებს (ზემოთ მითითებულ ციტირებულ ტექსტს სამინისტროს შიდა აუდიტის დასკვნის შინაარსში წინ აქვს წამმდგარებული ნაწილი სამართლებრივი ნორმებისა - დასკვნის გვერდი 3-4) „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტზე, 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტზე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტზე და ამავე წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტზე.

ამასთან, როგორც ვხედავთ, სამინისტრო დარღვეულად თვლის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნასა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნას.

დასახელებულ ნორმებში მითითებულია - „აკადემიური საბჭო ამ კანონის შესაბამისად: წარმომადგენლობით საბჭოს, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კონკურსის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატურას;“ („უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 21, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ე“) და „კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, ამ წესდებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად, აკადემიური საბჭო: წარმომადგენლობით საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კონკურსის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატურას;“ (უნივერსიტეტის წესდების მუხლი 8, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ე“).

უდავოა უნივერსიტეტის მიერ, თსუ (ადმინისტრაციის ხელმძღვანელის) კანცლერის დამტკიცების მიზნით, ადმინისტრაციული წარმოების

განხორციელების ფაქტი, ვინაიდან „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ (ტექსტში შემდგომ - „სზაკ“) მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თსუ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს (ადმინისტრაციული ორგანო - ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს), ხოლო ამავე მუხლის ამავე ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოება განმარტებულია, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის, აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ დასახელებული სამართლებრივი ნორმები თსუ-ს მართვის ორგანოთა უფლებამოსილებების განმსაზღვრელ მუხლებში/პუნქტებში არის ქვეპუნქტების სტატუსით წარმოდგენილი, სზაკ-ის 75-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის (ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია: ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება - გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) თანახმად და ამ ნორმების ბუნებიდან (შინაარსობრივი დატვირთვიდან) გამომდინარე, ისინი წარმოადგენენ მოქმედების განხორციელების მავალდებულებელ ნორმებს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ თსუ-ს მიერ ჩასატარებელი იყო უნივერსიტეტის კანცლერის თანამდებობაზე კონკრეტული პირის არსებობის/მუშაობის/ამ თანამდებობის დამკავებლის შერჩევისა და დამტკიცების პროცედურა ადმინისტრაციული წარმოების გზით, რაც ქმედებათა ერთიან, თანმიმდევრულ ჯაჭვს წარმოადგენს (კონკურსის გამოცხადება, კონკურსის ჩატარება, კონკურსის შედეგად კანდიდატის წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარდგენა, წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ კონკრეტული პირის კანდიდატურის განხილვა და შემდგომ, დამტკიცების მიზნით, ფარული კენჭისყრის უზრუნველყოფა-ჩატარება).

შესაბამისად, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 21, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ე“ და თსუ-ს წესდების მუხლი 8, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ე“ (რომლებიც, არსებითად, ერთნაირი შინაარსის შემცველია), უნივერსიტეტის წინაშე მდგარი ზემოხსენებული ვალდებულების შესრულების მხოლოდ ერთი ეტაპია და ამ ვალდებულების შესრულების პროცესში - განსახორციელებელ ქმედებათა ერთი რგოლი. სწორედ ამ ერთი ეტაპისა თუ რგოლის დაწყებისა თუ დასრულების (მოქმედების სახით) განმსაზღვრელი გარემოებები/ფაქტები/ქცევის წესები კანონმდებლობაში მითითებული არ არის

(გარდა დასრულების ბოლო ვადისა - აკადემიური საბჭო წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ახალ კანდიდატურას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ერთი თვის ვადაში). ხსენებულიდან გამომდინარე, რა სამართლებრივი გარემოებების საფუძველზე აქვს სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს შეფასება გაკეთებული, თუ როდის ან რის შემდგომ ამოიწურა აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის შერჩევისა და წარდგენის კუთხით, და რომ თითქოს ყველა სამართლებრივი ქმედება დასრულდა, გაურკვეველია - რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ამაზე ნორმატიულ აქტებსა და ამ აქტების დასახელებულ ნორმებში არაფერია მითითებული. შესაბამისად, ყოველივე ზემოაღნიშნული შესაძლებლობას აძლევს ნორმების გამომყენებელს, ამ ნორმების საფუძველზე მოქმედ ადმინისტრაციულ ორგანოს, განსაზღვროს კონკურსის დაწყებისა და დასრულების, ან კონკურსის დაწყებულად და დასრულებულად ჩათვლის ფაქტი/მომენტი, ვინაიდან ამ ნორმათა საფუძველზე და მათ შესასრულებლად მოქმედება სწორედ მისი გამომყენებლის (ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკრეტული პირის წარდგენის უზრუნველყოფელის) პრეროგატივაა, რაც უნივერსიტეტმა უზრუნველყო კიდეც. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ზემოხსენებული ორი, არსებითად ერთნაირი, სამართლებრივი ნორმის გამოყენებისას შეუძლებელია კანცლერის თანამდებობაზე კონკრეტული პირის არსებობის/მუშაობის პროცესის უზრუნველსაყოფი სრული პროცესის განხილვისას ხსენებულ ორ ნორმასთან ერთად სხვა ამ პროცესთან დაკავშირებული ნორმების შინაარსის გაუთვალისწინებლობა (რაც უნივერსიტეტმა დასახელებული წარმოებისას გაითვალისწინა).

შესაბამისი პროცედურის სრულფასოვნად წარმოსადგენად, აუცილებელია სათანადო სამართლებრივი ნორმების ქრონოლოგიური (ლოგიკური, თანმიმდევრობითი) განხილვა, კერძოდ (როგორც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, ისე თსუ-ს წესდება ითვალისწინებს) –

აკადემიური საბჭო წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ახალ კანდიდატურას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ერთი თვის ვადაში და წარმომადგენლობით საბჭოს, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კონკურსის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატურას,

ხოლო წარმომადგენლობითი საბჭო - ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურას აკადემიური საბჭოს წარდგინებით.

ზემოხსენებული სამართლებრივი ნორმების შინაარსიდან დგინდება (განხილვის ამ მომენტისათვის არსებითად მნიშვნელოვანი):

1. აკადემიურმა საბჭომ უნდა ჩაატაროს კონკურსი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის (კონკრეტული ფიზიკური პირი) გამოსავლენად;
2. აკადემიურმა საბჭომ კონკურსის საფუძველზე გამოვლენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურა უნდა წარადგინოს წარმომადგენლობით საბჭოში;
3. წარმომადგენლობითმა საბჭომ უნდა განიხილოს წარდგენილი კანდიდატურა (წარმომადგენლობით საბჭოზე ფარული კენჭისყრის პროცედურამდე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატის დასამტკიცებლად, საკითხი იხილება, სზაკ-ის 96-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად. აღნიშნულის გაუთვალისწინებლობა იწვევს სზაკ-ის მე-60¹ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების დანაწესის ამოქმედებას);
4. წარმომადგენლობითმა საბჭომ უნდა უზრუნველყოს ფარული კენჭისყრის ჩატარება აკადემიური საბჭოს მიერ წარდგენილი კანდიდატურის დამტკიცების მიზნით.

ხსენებულიდან გამომდინარეობს, რომ:

- ა) აკადემიური საბჭო ვალდებულია, კონკურსის საფუძველზე, შეარჩიოს კონკრეტული პირი, ვისაც ავტომატურად ენიჭება კანდიდატის სტატუსი (ხდება ამ სტატუსით მოსარგებლე);
- ბ) აკადემიური საბჭოს მიერ შერჩეული პირი ამ სტატუსით (კანდიდატი/კანდიდატურა) უნდა სარგებლობდეს არანაკლებ წარმომადგენლობით საბჭოზე საკითხის განხილვის დაწყების დროს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 21, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ე“ და თსუ წესდების მუხლი 8, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ე“ ქვეპუნქტის, ისევე როგორც აკადემიური საბჭოს, მიზანს წარმოადგენს კანდიდატის შერჩევით არა კონკურსის დასრულებულად გამოცხადება, არამედ კონკურსში კონკრეტული ფიზიკური პირის შერჩევის შემთხვევაში, ამ ფიზიკური პირის, როგორც კანდიდატის წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარდგენა, მისი კანდიდატურის დასამტკიცებლად საკითხის განხილვის დაწყების მიზნით, და არა უბრალოდ/მხოლოდ წარდგინების, როგორც დოკუმენტის წარმომადგენლობითი საბჭოსათვის გაგზავნა. ზემოთ განხილულ სამართლებრივ ნორმებში არც არის მითითებული, რომ აკადემიური საბჭო წარმომადგენლობით საბჭოს უგზავნის წარდგინებას, როგორც დოკუმენტს და ამით უნდა შემოიფარგლოს, ანუ ის, რომ ამით შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს კონკრეტული კონკურსი, ეს ვერც

იქნება განსახილველი სამართლებრივი ნორმების მიზანი, ვინაიდან წარმომადგენლობითმა საბჭომ უნდა განიხილოს კონკრეტული პირის კანდიდატურა და არა წარდგინების ამსახველი დოკუმენტი მხოლოდ. აღნიშნული, ბატონი იოსებ არჩვაძის კანდიდატურის აკადემიური საბჭოს მიერ წარმომადგენლობითი საბჭოსადმი წარდგენის დროს, ვერ განხორციელდა, ვინაიდან ბატონმა იოსებ არჩვაძემ თავად, წერილობით, გამოხატა უარი კანცლერობის კანდიდატის სტატუსზე, რითაც ვერ იქნა რეალიზებული შესაბამისი სამართლებრივი ნორმის არსი, დანიშნულება და მიზანი.

აღნიშნული პრობლემის განხილვისას, უნივერსიტეტი მოქმედებდა არა მხოლოდ ზემოთ განხილული სამართლებრივი ნორმებით (საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსიდან გამომდინარე, ვინაიდან თსუ-ს ჰქონდა და აქვს უფლებამოსილება განახორციელოს ის, რაც დაშვებულია კანონით. შესაბამისად, თსუ ხელმძღვანელობს ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით), არამედ სხვა სამართლებრივი ნორმების საფუძველზე. კერძოდ, ვინაიდან ბატონი იოსებ არჩვაძის მიერ კანცლერობის კანდიდატის სტატუსის მის მიერვე გაკეთებული წერილობითი განცხადების საფუძველზე დაკარგვის გამო, აკადემიურ საბჭოს მიმდინარე კონკურსში წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარსადგენად კანცლერობის კანდიდატი შერჩეული აღარ გამოსდიოდა (აკადემიური საბჭოს მიერ ჩატარებული ერთი კონკრეტული კონკურსის ფარგლებში არსებული ფიზიკური პირის - კანცლერობის კანდიდატის სტატუსი აღარავის გააჩნდა), აკადემიური საბჭო დადგა დისკრეციის წინაშე, განეხილა საკითხი, კანცლერობის კანდიდატის სტატუსი (შესაბამისი მონაცემების არსებობის პირობებში) მიენიჭებინა კონკრეტული ფიზიკური პირისათვის - მიმდინარე, დაუსრულებელი კონკურსის ფარგლებში (იმ შემთხვევაში, თუ სახეზე იქნებოდა საბჭოს წევრთა ხმების საკმარისი რაოდენობა), თუ გამოეცხადებინა ახალი კონკურსი და მის საფუძველზე მოეხდინა ამ სტატუსის კონკრეტული პირისათვის მინიჭება (იმ შემთხვევაში, თუ სახეზე იქნებოდა საბჭოს წევრთა ხმების საკმარისი რაოდენობა).

ამ პირობებში, წარმოიშვა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების საჭიროების ფაქტი, რაც გახდა აკადემიური საბჭოს მსჯელობის საგანი. სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება განმარტებულია, როგორც უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება; შესაბამისად, ვინაიდან ჩვენ მიერ ზემოთ განხილული სამართლებრივი ნორმები, რომლებიც წარმოადგენენ უნივერსიტეტის კანცლერის თანამდებობაზე კონკრეტული პირის

არსებობის/მუშაობის/საქმიანობის/კანცლერის სტატუსის ქონის მიზნით გასატარებელი პროცედურის საფუძვლებს და რადგან პირდაპირ დანაწესს შექმნილ მდგომარეობაზე (წარდგენილი კანდიდატურის მიერ საკუთარი ინიციატივით კანდიდატურის მოხსნისას) არ შეიცავენ, ფაქტობრივად აკადემიური საბჭო ბუნებრივად დადგა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების წინაშე - შექმნილი მდგომარეობის (სწორედ იმ პერიოდში დამდგარი სამართლებრივი ურთიერთობების) რეგულირების მიზნით, არსებობს სზაკ-ში დისკრეციული უფლებამოსილების ინსტიტუტი და მის გამოყენებლობას მოჰყვებოდა აკადემიური საბჭოს მხრიდან სამართალშეუსაბამო გადაწყვეტილების მიღება (ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც წარმოშობილი (არსებული) სამართლებრივი ურთიერთობებისადმი, დამატებით სზაკ-ის შესაბამისი ნორმების შეფარდება/გამოყენება მოხდა). აკადემიური საბჭოს მიერ, სხვა სამართლებრივ ნორმებთან ერთად, დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების პირობებში იქნა განხილული არსებული მდგომარეობა. აკადემიური საბჭოს მიერ გათვალისწინებული იქნა, როგორც დაწესებულების, ისე კონკურსში მონაწილე ფიზიკურ პირთა ინტერესები (სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტი), ურთიერთდაკავშირებული იქნა ერთმანეთთან და მიღებული იქნა ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც არ დაარღვევდა არც კანონმდებლობის მოთხოვნებს და არც უნივერსიტეტისა თუ კონკურსში მონაწილეთა უფლებებს (ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ პირთა უფლებები).

II. სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნაში მითითებულია შემდეგი შინაარსი - „კანონმდებლობა არ ითვალისწინებს აკადემიური საბჭოს შესაძლებლობას, ერთი და იგივე კონკურსის ფარგლებში წარადგინოს ორი სხვადასხვა კანდიდატურა, მით უფრო, რომ კონკურსი უკვე დამთავრებული იყო და კანდიდატი გამოვლენილი. კანონმდებლობის ნორმებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ კონკურსის საფუძველზე შერჩეული კანდიდატურის წარდგენის გზით. ვინაიდან ჩატარებული კონკურსის ფარგლებში უკვე გამოვლენილი იყო იოსებ არჩვაძის კანდიდატურა, კონკურსი დასრულებულად ითვლებოდა.“ - აღნიშნულის საპასუხოდ, დავძენთ, რომ ზემოთ დასახელებული ნორმების განმარტების საფუძველზე, უკვე მივუთითეთ, თუ რატომ არ ითვლებოდა შექმნილ ვითარებაში კონკურსი დასრულებულად, ამასთან, დამატებით უნდა ითქვას, რომ ვინაიდან ბატონმა იოსებ არჩვაძემ კანდიდატის სტატუსი დაკარგა თავისივე წერილობითი განცხადების საფუძველზე, რითაც კონკურსის შედეგი (კანცლერობის კანდიდატის არსებობა, მისი შერჩევისთვის აკადემიური საბჭოს წევრთა საკმარისი ხმების არსებობის შემთხვევაში) ანულირებული იქნა და კონკურსი დასრულებულად ვერ ჩაითვალა.

III. სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნაში მითითებულია შემდეგი შინაარსი - „გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურას კენჭი ეყარა და იგი წარდგენილი იქნა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ახალი კონკურსის (დოკუმენტური მონაცემების შეფასება; პრეტენდენტებთან გასაუბრება) გარეშე, რითაც დაირღვა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სპეციალური სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნა.“ - აღნიშნულის საპასუხოდ, უნდა ითქვას, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი წინამდებარე დასკვნის ზემოთ მოცემული დასაბუთებული შინაარსიდან გამომდინარე, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის ეს საკმარისად მოკლედ (სიღრმისეული შესწავლის გარეშე), მხოლოდ განცალკევებულ სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით გაკეთებული შეფასება დაუსაბუთებელია და გასაზიარებელი არ არის.

სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის N01603161525 დასკვნის შეფასებით ნაწილში სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ ინსპექტირების საფუძველზე შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით გაკეთებული სხვა შეფასებებიც ეყრდნობა იმავე საფუძველებსა და მოსაზრებებს, რაზედაც ჩვენ მიერ წარმოდგენილ წინამდებარე დასკვნაში უკვე ვიმსჯელებთ/განვმარტეთ/სამართლებრივი დასკვნები წარმოვადგინეთ, შესაბამისად, აღარ არსებობს ამ შეფასებებისადმი კვლავ მიზრუნების საჭიროება.

IV. სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის N01603161525 დასკვნის შეფასებით ნაწილში ასევე მითითებულია - „აღსანიშნავია, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭო წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ახალ კანდიდატურას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ერთი თვის ვადაში.

იმავე კონკურსის ფარგლებში ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის ხელახლა წარდგენა განხორციელდა 2016 წლის 22 თებერვალს, მაშინ როდესაც ადმინისტრაციის ხელმძღვანელს უფლებამოსილება ამოეწურა 2016 წლის 17 იანვარს. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ერთთვიანი ვადა დარღვეული იქნა.“

სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის №1603161525 დასკვნის ამ შეფასებას კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნაში მითითებული ვადის გადაცილება მოხდა უნივერსიტეტისაგან დამოუკიდებელი მიზეზით (კანცლერობის შერჩეული კანდიდატის მიერ თავისი კანდიდატურის განცხადების საფუძველზე მოხსნა). გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ დარღვევად ხსენებული ვადის გადაცილება აღიქმება აბსოლუტურად არასწორად, ვინაიდან გარდა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს საქმიანობასთან შემხებლობაში არმყოფი მითითებული ფაქტისა, არსებობს სხვა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან დამოუკიდებელი შესაძლო გარემოებები, რომლებიც ავტომატურად/ბუნებრივად იწვევს ზემოხსენებული ვადის გასვლას. მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გამოაცხადა კონკურსი კანცლერის თანამდებობაზე კანდიდატის შესარჩევად და ამ კონკურსში არცერთმა ფიზიკურმა პირმა განაცხადი არ შემოიტანა, ეს ავტომატურად გამოიწვევს ნორმატიულ აქტში მითითებული ზემოხსენებული ვადის გასვლას და არშემდგარი კონკურსის ხელახლა გამოცხადებისას ეს ვადა ავტომატურად გასული იქნება.

ერთადერთ შემთხვევაში არის შესაძლებელი ზემოხსენებული ნორმის დარღვევა (დადგენილი ვადის გაშვება) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შეერაცხოს, როგორც დარღვევა - თუ ხსენებული ვადა გაშვებულია უმოქმედობით ან მოქმედების დაგვიანებით - რასაც თსუ-ს შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

V. სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის №1603161525 დასკვნის შეფასებით ნაწილში ასევე აღნიშნულია, რომ - „2016 წლის 17 თებერვლის აკადემიური საბჭოს №5 სხდომის ოქმში ასევე მითითებულია, რომ აკადემიური საბჭო არ არის შეზღუდული იმ შესაძლებლობით, რომ კანდიდატის შერჩევის მიზნით, კიდევ ერთხელ/ხელახლა იმსჯელოს თითოეულ კანდიდატზე აკადემიური საბჭოს 2015 წლის 26 ოქტომბრის N109/2016 დადგენილებით გამოცხადებულ კონკურსის საფუძველზე დარეგისტრირებულ პრეტენდენტთა წრიდან.

ზემოაღნიშნული პოზიცია ასევე მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს, ვინაიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად საჯარო სამართლის იურიდიულ პირს აქვს სპეციალური უფლებაუნარიანობა. საჯარო სამართლის

იურიდიული პირი უფლებამოსილია განახორციელოს შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან/და თავისი წესდებით (დებულებით) გათვალისწინებული საქმიანობა, თუ შესაბამისი კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის უფლებამოსილება განსაზღვრულია კანონმდებლობით („უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით) და იგი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს რაიმე ქმედება, რაც არ არის დაშვებული კანონმდებლობით.“

სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის №1603161525 დასკვნის ამ შეფასებას ვერ დავეთანხმებით. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ აქვე მოხსენიებული დასკვნის შინაარსში მითითებული ტექსტი, რომელიც სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ აღებულია აკადემიური საბჭოს 2016 წლის 17 თებერვლის ოქმიდან - „... აკადემიური საბჭო არ არის შეზღუდული იმ შესაძლებლობით, რომ კანდიდატის შერჩევის მიზნით, კიდევ ერთხელ/ხელახლა იმსჯელოს თითოეულ კანდიდატზე აკადემიური საბჭოს 2015 წლის 26 ოქტომბრის N109/2016 დადგენილებით გამოცხადებულ კონკურსის საფუძველზე დარეგისტრირებულ პრეტენდენტთა წრიდან.“ - სრულიად გამართლებულია, რაზედაც წინამდებარე დასკვნაში უკვე წარმოვადგინეთ შესაბამისი არგუმენტირებული დასაბუთება. ამასთან, საფუძველს მოკლებულია სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის ის მოსაზრება, რომლითაც ის აკადემიური საბჭოს სწორედ ამ უფლებამოსილების არსებობას/შესაძლებლობას აყენებს ეჭვქვეშ. სამინისტრო თავის მოსაზრებას აფუძნებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსზე, ამ სტატუსთან დაკავშირებით არსებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის და სზაკ-ის შესაბამისი ნორმის საფუძველზე. მართლაც, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი აწესებს საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის შემდგომ პირობებს - დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად საჯარო სამართლის იურიდიულ პირს აქვს სპეციალური უფლებაუნარიანობა. საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია განახორციელოს შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან/და თავისი წესდებით (დებულებით) გათვალისწინებული საქმიანობა, თუ შესაბამისი კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. ამ ნორმაში გამოკვეთილია საჯარო სამართლის იურიდიული

პირის სპეციალური უფლებაუნარიანობის ფარგლები და ამ სპეციალურ უფლებაუნარიანობაში ასევე შედის ზემოხსენებული კანონით მოყვანილ სამართლის ნორმაში 2-ჯერ ნახსენები ტერმინი „შესაბამისი კანონი“. ამ ტერმინში, ცხადია, იგულისხმება კანონი, რომელიც თავისი შინაარსიდან და დანაწესიდან გამომდინარე, იძლევა საშუალებას, ან ავალდებულებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს მოხდეს მისი (ამ შესაბამისი კანონის) სრულად ან მისი ნაწილის სხვადასხვა სამართლებრივი ურთიერთობების მოწერსიგებაში გამოყენება. ამასთან, ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული სამართლებრივი დასაბუთებიდან/არგუმენტებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტს, განსახილველ შემთხვევაში, საკითხის დასახელებული სახით მოწერსიგების სრული უფლებამოსილება ჰქონდა და, შესაბამისად, სახეზე არ არის სზაკ-ის მე-5 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაწესის დარღვევის ფაქტიც.

ამასთან, გაურკვეველია სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნაში არსებული შინაარსი იმასთან დაკავშირებით, რომ - „უნივერსიტეტის როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის უფლებამოსილება განსაზღვრულია კანონმდებლობით („უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით) და იგი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს რაიმე ქმედება, რაც არ არის დაშვებული კანონმდებლობით.“ აღნიშნული შინაარსი გაურკვეველია იმ საფუძველით, რომ ჯერ, რატომღაც, უნივერსიტეტის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობის უფლებამოსილებითი ფარგლები, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის აზრით, შემოისაზღვრება მხოლოდ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით, ხოლო იმავე აზრის შემდგომ შინაარსში კი, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტი უშვებს უნივერსიტეტის ქმედითი ფარგლების გაფართოებას სხვა რომელიმე ნორმატიული აქტით/აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

VI. სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის №1603161525 დასკვნის დასკვნით ნაწილში გადმოცემულია სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ ინსპექტირების საფუძველზე შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით, **დავლება** უნივერსიტეტისადმი აკადემიური საბჭოს აქტების ბათილად ცნობის შესახებ. აღვნიშნავთ, რომ ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის №1603161525 დასკვნის შეფასებითი ნაწილი, და, შესაბამისად, დასკვნითი ნაწილი, რომელიც შეფასებით ნაწილს ეყრდნობა, მოკლებულია სამართლებრივ საფუძველებს და არ არსებობს სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნის დასკვნით ნაწილში

ჩამოთვლილი უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის საფუძველები.

ამასთან, უნივერსიტეტს, გარდა ზემოხსენებული საფუძველისა, ამისათვის გააჩნია ასევე სხვა საფუძველიც. კერძოდ, აღსანიშნავია, რომ სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს არ გააჩნია მოქმედი კანონმდებლობით რეგლამენტირებული, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის **დავალების** გაცემის უფლებამოსილება და ჩვენ მიერ განსახილველ შემთხვევაში, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტი ამ **დავალების** გაცემით აჭარბებს თავის უფლებამოსილებებს. ასეთი სახის უფლებამოსილება სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტისათვის არ არის მინიჭებული არც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულებით (საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილების, რომლის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულია შიდა აუდიტის დეპარტამენტის კომპეტენცია) და არც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 3 მაისის N89/ნ ბრძანებით **დამტკიცებული** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დებულებით - მეტიც, ეს ტერმინი (დავალება) იმ კონტექსტში საერთოდ არ არის ნახსენები ამ და სხვა ნორმატიულ აქტებში.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის №1603161525 დასკვნის **დასკვნით ნაწილი** სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ ინსპექტირების საფუძველზე, შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით, უნივერსიტეტისადმი **დავალების ნაწილი** იდენტურია სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის 2016 წლის 16 მარტის № MES 7 16 00261589 კორესპონდენციის შინაარსისა, იმ განსხვავებით, რომ კორესპონდენციის შემთხვევაში, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის პოზიციით უნივერსიტეტის მიერ განსახორციელებელი შემდგომი ნაბიჯები მოცემულია არა **დავალების**, არამედ **მითითების** სახით. ხაზგასასმელია, რომ მითითების გაცემის უფლებამოსილებას ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 3 მაისის N89/ნ ბრძანება (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დებულება), რომლის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შინაარსში აღნიშნულია - „დეპარტამენტი უფლებამოსილია: თავისი კომპეტენციის ფარგლებში მისცეს მითითება სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, ტერიტორიულ ორგანოებს, სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, სამინისტროს წარდგინებით საქართველოს მთავრობის მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, საქართველოს მთავრობის მიერ დაფუძნებულ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, სამინისტროს მიერ დაფუძნებულ პროფესიულ საგანმანათლებლო და

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს დაიცვან სამართლებრივი აქტების მოთხოვნები; (11.09.2012 N 186/ნ)“. აღსანიშნავია, რომ სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მითითება, იმ ფორმით როგორცაა წარმოდგენილია, უნივერსიტეტისათვის მავალდებულებელი ხასიათის მითითებას წარმოადგენს (ამაზე, გარდა მისი გამოხატვის ფორმისა, მიუთითებს ისიც, რომ სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნაში გამოყენებულია არა მხოლოდ ტერმინი მითითება, არამედ ტერმინი დავალებაც ერთსა და იმავე განსახორციელებელ ქმედებებზე). სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დებულების ზემოთ მოყვანილი ჩანაწერიდან თითქოს გამომდინარეობს, რომ თსუ-ს შესაძლოა მიეღო მითითება სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტისაგან, როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ან როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, მაგრამ სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ჩამონათვალი მოცემულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილება) მე-4 მუხლში, რომლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ჩამონათვალში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არ არის. ასევე, ცნებაში - „სამინისტროს წარდგინებით საქართველოს მთავრობის მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას“, რომელზედაც აქვს სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს მითითების გაცემის უფლება, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არ შედის. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქართველოს მთავრობის მიერ (დადგენილების საფუძველზე) დაფუძნების პროცედურა საკანონმდებლო სივრცეში გაჩნდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებისას. კერძოდ, ხსენებული კანონის ძალაში შესვლისთანავე მე-6 მუხლის, პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის რედაქცია იყო შემდეგნაირი - საქართველოს მთავრობა: „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით აფუძნებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას“. 2011 წლიდან და ამჟამად ეს ნორმა ასეთი შინაარსისაა - „საქართველოს მთავრობა: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით აფუძნებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ან კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით და ამტკიცებს მის დროებით წესდებას. შესაბამისად, დგინდება, რომ თსუ არ არის ამ წესით დაფუძნებული დაწესებულება. ამასთან, დამატებით, იმის დასადასტურებლად, რომ ამ ნორმით გათვალისწინებული დაწესებულება თსუ არ არის, ისიც კმარა, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“

საქართველოს კანონი, მაგალითად, მაშინ, როდესაც აუცილებელია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოიაზროს, როგორც ამ წესის მიღებამდე დაფუძნებული დაწესებულებები, ისე ამ წესის მიღების შემდგომ დაფუძნებული დაწესებულებები, იყენებს ტერმინს - „სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება“, რომელიც ამ კანონის შინაარსში მრავალგანაა გამოყენებული.

ამასთან, ბუნებრივია გვერდს ვერ ავუვლით სამინისტროს უფლებამოსილებას კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით განახორციელოს კონტროლი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი ... სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას ...“, ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით კი დაზუსტებულია, რომ სახელმწიფო კონტროლის ფორმასა და ფარგლებს უნდა შეიცავდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის წესდება. ამ კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი ასევე აზუსტებს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს კანონით განსაზღვრული ... სახელმწიფო მართვის ორგანო. უნივერსიტეტისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, როგორც მაკონტროლებელი განსაზღვრულია, როგორც კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“, ისე უნივერსიტეტის წესდებით და ორივე ამ აქტით ასევე განსაზღვრულია კონტროლის ფორმა და ფარგლები, თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ... სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ კანონით დადგენილი წესებით, ამავე კანონს აქვს თავი XIV „სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ქონება და ნორმატიული აქტების შესრულების კონტროლი“, რომელშიც მოცემული მუხლები, წინამდებარე დასკვნით განსახილველ თემასთან უშუალო კავშირში არ არის (ხსენებული მუხლების სათაურებია - სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ქონება, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ქონებით სარგებლობა, სახელმწიფოს მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის გადაცემული ქონება, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირში – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ნორმატიული აქტების

შესრულების კონტროლი), ხოლო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-3 და 47-ე მუხლის მე-2 პუნქტი კი ითვალისწინებენ შემდეგ ჩანაწერებს - „უნივერსიტეტი დაფუძნებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით, რომლის საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლს, ამ წესდებითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით, ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.“, „უნივერსიტეტის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რომელიც ახორციელებს უნივერსიტეტის საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია მოსთხოვოს უნივერსიტეტს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო ნებისმიერი მასალისა და ინფორმაციის წარმოდგენა.“.

ხსენებულიდან გამომდინარე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკანონმდებლო პრინციპი, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის წესდება უნდა შეიცავდეს სახელმწიფო კონტროლის ფორმასა და ფარგლებს, გამოხატულია სწორედ თსუ-ის წესდების მე-3 მუხლსა და და 47-ე მუხლის მე-2 პუნქტში. არცერთი ამ ჩანაწერთაგანი ასევე არ ითვალისწინებს თსუ-სათვის კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს მიერ დავალებებისა თუ მითითებების მიცემის უფლებამოსილების არსებობას, არამედ ითვალისწინებს კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას, რაც უნდა გამოიხატებოდეს უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობის შემოწმება/ინსპექტირებასა და შეფასების მიცემაში, არსებული გამოვლენილი შესაძლო დარღვევების წერილობით დაფიქსირებაში და ამ ინფორმაციის უნივერსიტეტისათვის მიწოდებაში. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტი, მხოლოდ როგორც სამინისტროს კონტროლის უფლებამოსილების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეული უფლებამოსილი იყო გამოეყენებინა უნივერსიტეტისათვის მითითების მექანიზმი, თუმცა იგი არ უნდა იყოს და არ უნდა ყოფილიყო დამავალდებულებელი ხასიათის, არამედ შესაძლოა ყოფილიყო არაუმეტეს სარეკომენდაციო დატვირთვის მქონე, რაც უნივერსიტეტს, როგორც ავტონომიურობის ფარგლებში მოქმედ დაწესებულებას, დაუტოვებდა ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი შესაძლო დარღვევების თაობაზე მსჯელობისა და ამ მსჯელობის შედეგად მათი გაზიარების (გაზიარების

შემთხვევაში შესაბამისი გადასადგმელი ნაბიჯების, სამართლებრივი გზების, ფორმების, საშუალებების დამოუკიდებლად, კარნახისა თუ დავალების გარეშე არჩევის უფლებამოსილებას), ნაწილობრივ გაზიარების, ან უარყოფის უფლებამოსილებას, ვინაიდან ამ საკითხზე ზემოთ მოყვანილი დასაბუთებული მსჯელობა სწორედ ამაზე მიუთითებს.

გარდა ზემოხსენებულისა, აღსანიშნავია, რომ სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნა მომზადებული და გამოცემულია 2016 წლის 16 მარტს, როდესაც ამავე დეპარტამენტის მიერ ინსპექტირება დაწყებული იქნა 2016 წლის 14 მარტის ბრძანების საფუძველზე, რაც ჩვენი აზრით, ამგვარი სამართლებრივი სპეციფიკის საკითხის შესასწავლად, არასაკმარისი დროა და საკითხი საჭიროებდა უფრო სიღრმისეულ შესწავლას, გაანალიზებას და აღქმას (აქვე ხაზგასმის ღირსია, რომ მასალები უნივერსიტეტიდან ინსპექტირებისათვის მიწოდებული იქნა მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე 2016 წლის 15 და 16 მარტს (16 მარტი სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნის მომზადების თარიღია). სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნის ასე ნაჩქარევად გამოცემით თსუ-ს არ მიეცა შესაძლებლობა ინსპექტირების ჯერ კიდევ არსებულ ვადაში გამოეხატა პოზიცია). გარდა აღნიშნულისა, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ დასკვნა შედგენილი და უნივერსიტეტისათვის გამოგზავნილი იქნა ინსპექტირების საფუძველებით მოთხოვნილი უნივერსიტეტის წერილობითი პოზიციის მიღებისა და განხილვის გარეშე, რაც ეწინააღმდეგება სზაკ-ის 96-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებს, რომელთა მიხედვითაც, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. დაუშვებელია, ადმინისტრაციულმა ორგანომ, მის მიერ მიღებულ დოკუმენტს საფუძველად დაუდოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. მართალია, უნივერსიტეტის პოზიცია თავად უნივერსიტეტის მიერ არ იქნა წარდგენილი სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტისათვის, მაგრამ ამას, როგორც წინამდებარე დასკვნის დასაწყისში აღვნიშნეთ, გააჩნდა სრულიად ობიექტური და ბუნებრივი მიზეზი. ხსენებულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ ინსპექტირების შედეგებზე დასკვნა მომზადებული იქნა ნაჩქარევად, სრულიად ახლადმიღებული მასალების საფუძველზე, რომელთა შინაარსში არსებული ინფორმაციის განხილვა საკმაოდ ღრმა ანალიზსა და, ამის გამო, ჩვენი აზრით, მეტ დროს მოითხოვდა - ამასთან, სამინისტროს დასკვნის მომზადება მოხდა უნივერსიტეტის პოზიციის მიღების, განხილვისა და შესწავლის გარეშე, რაც, როგორც აღვნიშნეთ, ეწინააღმდეგება სზაკ-ის 96-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებს.

უნივერსიტეტის, წინამდებარე დასკვნაში გადმოცემული პოზიცია, საკითხის სიღრმისეული ანალიზი, უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ ქმედებათა საფუძვლიანობა, კანონმდებლობასთან შესაბამისობა და დასაბუთება საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ინსპექტირების შედეგად შედგენილი დასკვნა No1603161525, გარდა მისი (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) სზაკ-ით დადგენილი მომზადების და გამოცემის წესის არსებითი დარღვევისა, ეწინააღმდეგება ასევე მოქმედი კანონმდებლობის იმ მოთხოვნებს, რომლებიც წინამდებარე დასკვნის შინაარსში დაწვრილებით განხილული და გაანალიზებულია - ნორმატიული აქტის სრული დასახელების, მისი შესაბამისი ნორმის, როგორც შინაარსის, ისე მუხლისა და პუნქტის/ნაწილის მითითებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, განიხილოთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის 2016 წლის 16 მარტის No MES 7 16 00261589 კორესპონდენციისა და შიდა აუდიტის დეპარტამენტის No 1603161525 დასკვნის, როგორც კანონმდებლობასთან შესაბამისობის, ისე მათი მომზადებისა და გამოცემის კანონიერების საკითხი, მათი ბათილად ცნობის მიზნით. ამავდროულად, სასურველია ასევე გათვალისწინებული იქნას, სზაკ-ის 187-ე მუხლის დანაწესი (დაუშვებელია ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღოს პირმა, რომელიც მონაწილეობდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებაში ან გამოცემაში) და უნივერსიტეტის წერილობითი მოთხოვნის (ადმინისტრაციული საჩივრის) განხილვისა და მასზე შესაბამისი პასუხის (გადაწყვეტილების) მომზადებისას გამოირიცხოს სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მონაწილეობა.

პატივისცემით,

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,

რექტორი, პროფესორი

აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა